შპს ,,მონტაჟ-ჯორჯია “

ქ.თბილისში, ჩიქვანაიას ქ.№1 (ს/კ 01.11.04.013.003.) სასაწყობო შენობის

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

(კორექტირებული)

შეადგინა /დ.ურჯუმელაშვილი/

თბილისი-2023

ალბომის შინაარსი

ა) განმარტებითი ბარათი

1. ობიექტის მდებარეობის უბნის დახასიათება
2. მშენებლობის ობიექტების დახასიათება
3. შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების უწყისი
4. სამშენებლო გენგეგმა
5. მშენებლობის ვადები
6. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია
7. სამუშაოთა წარმოება

7.1 მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები

7.2 ძირითადი პერიოდის სამუშაოები

7.3 აქტით მისაღები სამუშაოების ჩამონათვალი

8. შრომის დაცვა და საწარმოო უსაფრთხოება
9. უსაფრთხოების ტექნიკა
10. სამშენებლო კონსტრუქციების ლაბორატორიული და გეოდეზიური კონტროლის ორგანიზაცია
11. გარემოს პირობების დაცვა

დანართები;

1. სამუშაოთა წარმოების გრაფიკი
2. სამშენებლო გენგეგმა

ა) განმარტებითი ბარათი

შესავალი

ქ. თბილისში ჩიქვანაიას ქ.№1-ში სასაწყობო შენობის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია სნ და წ 3.01.01.85 ,,სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია'' მოთხოვნების შესაბამისად. პროექტის დამუშავებისას გამოყენებული იქნა შემდეგი ნორმატიული და საცნობარო ლიტერატურა:

1. სნ და წ III-4-80 ,,უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში'' სამუშაოთა წარმოების და მიღების წესები.

2. სნ და წ 3.01.01.85 ,,სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია.

3. საცხოვრებელი და სამოქალაქო მშენებლობის ორგანიზაციის და სამუშაოთა წარმოების პროექტების დამუშავების სახელმძღვანელო.

4. მშენებლის ცნობარი . სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია.

5. მშენებლის ცნობარი. საცხოვრებელი და სამოქალაქო მშენებლობის ორგანიზაცია.

6. საანგარიშო ნორმატივები მშენებლობის ორგანიზაციის პროექტების შესადგენად.

7. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენისას საწყის მონაცემებს შეადგენენ;

1. საპროექტო დავალება
2. ტოპოგრაფიული, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევების მასალები
3. პროექტის არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო ნაწილების მუშა დოკუმენტაცია

აღნიშნული მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის საფუძველზე სამშენებლო კომპანიამ უნდა შეადგინოს სამუშაოთა წარმოების პროექტი (სწპ), სადაც დეტალურად იქნება დამუშავებული კონკრეტული სამუშაოების წარმოების მეთოდები და ტექნოლოგია, შერჩეული იქნება მანქანა-მექანიზმები.

1. ობიექტის მდებარეობის უბნის დახასიათება

მშებებლობის რაიონი, ქ.თბილისი საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIბ კლიმატურ ქვერაიონს. წლის საშუალო ტემპერატურა 12.4^{0}C, წლის აბსოლუტური მინიმუმი -23^{0}C, აბსოლუტური მაქსიმუნი +40^{0}C. წლის საშუალო ფარდობითი ტენიანობა 66%, ყველაზე ცივი თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა 60%, ყველაზე ცხელი თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა 40%. ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი 147 მმ. თოვლის საფარის წონა 0,5 kpa, თოვლის საფარის დღეთა რიცხვი 14. ქარის ნორმატიული დატვირთვა 0.55 kpa.

სეისმიური დარაიონების მიხედვით სამშენებლო უბანი მდებარეობს 8 ბალიან რაიონში.

საპროექტო ობიექტის ფარდობით 0.00 ნიშნულს შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული +440.90მ.

საინჟინრო- გეოლოგიური კვლევების შედეგად, სამშენებლო უბანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში.უბანზე და მის მიმდებარედ არ აღინიშნება ნეგატიური გეოლოგიური პროცესები.

სამშენებლო უბნის ამგები გრუნტის ფენებში ნაყარი გრუნტის (ფენა1) ჩაუთვლელად გამოიყოფა 3 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე):

I სგე- თიხოვანი გრუნტი (ფენა 2)

II სგე- კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3)

III სგე- ძირითადი ქანი-ფიქლებრივი თიხები (ფენა 4)

დამუშავების სიძნელის მიხედვით, სნ და წ IV–2-82-ის 1.1 ცხრილის თანახმად , უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1)- სამივე სახეობით (ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით -1800 კგ/მ^3 (რიგ. #24^a);

ბ) თიხოვანი გრუნტი (ფენა 2) - სამივე სახეობით დამუშავებისას - III ჯგუფს, სიმკვრივით 1920 კგ/მ^3 (რიგ. #8^v).

2 მშენებლობის ობიექტის დახასიათება

ქ. თბილისში ჩიქვანაიას ქ.№1-ში 1 (ს/კ 01.11.04.013.003.) სასაწყობო შენობა წარმოადგენს კომპლექსურ ნაგებობობას, რომელიც შედგება ანტიტემპერატურული (ანტისეისმიური) ნაკერით გამიჯნული ორი სასაწყობე და საოფისე ბლოკისაგან:

- **სასაწყობო ბლოკი** - წარმოადგენს ერთ სართულიან, სამ მალიან ლითონის კონსტრუქციის ნაგებობას, გაბარიტული ღერძული ზომით 60,0*31,2 (მ), ცვლადი სიმაღლის (მაქსიმალური სიმაღლე 11 მ). ბიჯი განივი მიმართულებით 10,4*3 (მ), გრძივი მიმართულებით 12*5 (მ);
- საძირკველს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ფილა, სისქით 50სმ (ბეტონი B-25)
- შემომზღუდავ კონსტრუქიებს, როგორც კედლებისათვის ასევე სახურავისთვის წარმოადგენს სენდვიჩ პანელები.
- **საოფისე ბლოკი** - წარმოადგენს რკ/ბ-ის კარკასულ ორ სართულიან ნაგებობას, გაბარიტული ღერძული ზომით 11,9*31,2 (მ). პირველი სართულის სიმაღლე 4,5 მ, მეორე სართულის სიმაღლე 3,5 მ. გააჩნია სხვენის სართული და ქანობიანი სახურავი.
  საძირკველს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ფილა, სისქით 50სმ (ბეტონი B-25)

  სვეტები-მონოლითური რკინაბეტონის, მართკუთხა ფორმის, განივკვეთით 40X40სმ (ბეტონი B-25).

  რიგელები-მონოლითური რკინაბეტონის, მართკუთხა ფორმის, განივკვეთით 40X50სმ (ბეტონი B-25).

  სართულშუა გადახურვის ფილები-მონოლითური რკინაბეტონის, სისქით 18 სმ (ბეტონი B-25).

  კიბეები- რკინაბეტონის, მარშის სისქით 16 სმ (ბეტონი B-25).

კარკასის შევსება- წვრილი ბეტონის ბლოკის კედელი, 30სმ სისქით, რომელიც უნდა ჩამაგრდეს კარკასში შესაბამისი დეტალებით. ბეტონის მარკა მ-75. ქვიშა-ცემენტის ხსნარის მარკა მ-75;

სახურავი- ლითონის კონსტრუქციებზე დაყრდნობილი სენდვიჩ- პანელები;

დღევანდელი მდგომარეობით საოფისე შენობის შავი კარკასი დასრულებულია. დასრულებულია აგრეთვე სასაწყობო შენობის საძირკვლის მონოლითური რკინაბეტონის ფილის მოწყობა.

3.შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების უწყისი

№	სამუშაოთა დასახელება		
	სასაწყობო შენობა		
1	ლითონის მზიდი კონსტრუქციების მონტაჟი	ტ	229.88
2	სახურავის მოწყობა სენდვიჩ-პანელებით	მ^2	2350
3	კედლების მოწყობა სენდვიჩ-პანელებით და ღიობების ლითონის კონსტრუქციების მონტაჟი	მ^2	1370.5
4	ტექნოლოგიური მოწყობილობის მონტაჟი		
	საოფისე შენობა		

5	სახურავის მოწყობა (შედის სასაწყობო შენობის სახურავში)	მ^2	
6	შიგა მოსაპირკეთებელი სამუშაოები	მ^2	

7	შიგა საინჟინრო ქსელების მოწყობის სამუშაოები		
8	ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები		

4.სამშენებლო გენგეგმა

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შემადგენლობაში დამუშავებულია სამშენებლო გენგეგმა, რომელზეც ნაჩვენებია:

მუდმივი შენობა-ნაგებობანი:

დროებითი შენობა-ნაგებობანი:

-საოფისე სათავსი (6X3X3)მ;

-მუშების გასახდელები (6X3X3)მ;

-ინსტრუმენტების საწყობი (6X3.1X2.5)მ;

-სასაწყობო ღია ბაქნები;

-ძირითადი სამშენებლო მექანიზმი, ამწე, სამუშაო და სახიფათო ზონების ჩვენებით;

-დროებითი ავტოგზა სიგანით 3.5 მ ცალმხრივი მოძრაობისათვის;

-საკონტროლო გამშვები პუნქტი;

-დროებითი ღობე.

მშენებლობის ტერიტორია შემოღობილია ლითონის ღობით, რომელიც განთავსებულია წითელი ხაზის ფარგლებში. ქუჩაზე ხალხის ინტენსიური მოძრაობის შემთხვევაში, საჭიროა ტროტუარის მოწყობა, სიგანით 1.2მ. სა ჭიროა მოეწყოს ქუჩის მხრიდან მოაჯირის ორი ზოლი, 0.5 და 1.1მ სიმაღლეზე. ღობეს არ უნდა ჰქონდეს ღიობები, გარდა ჭიშკრისა და კუტკარისა, რომლებიც უნდა კონტროლდებოდეს სამუშაო დროის განმავლობაში და იკეტებოდეს მისი დამთავრების შემდეგ.

ობიექტზე ძირითად მექანიზმს წარმოადგენს 25ტ ტვირთამწეობის 25 მ ისრიანი მუხლუხა ამწე, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სამონტაჟო სამუშაოების შესრულება. სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გადმოსატვირთავად და დასასაწყობებლად გამოყენებულ უნდა იქნეს საავტომობილო ამწე.

ამწეების შერჩევა წარმოებს ტვირთამწეობის მიხედვით. ყველაზე მძიმე კონსტრუქციის წონა არ აღემატება 4 ტონას.

ღობის მოწყობის მასალები, ზუსტი ზომები, განლაგება, გამოყენებული მექანიზმები, განსაზღვრული უნდა იყოს სამუშაოთა წარმოების პროექტში დამუშავებული სამშენებლო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით.

5.მშენებლობის ვადები

იმის გათვალისწინებით, რომ საოფისე შენობის შავი კარკასი და სასაწყობო შენობის საძირკვლების მოწყობა დასრულებულია მშენებლობის ვადა განსაზღვრულია სამუშაოთა მოცულობების მიხედვით და ასახულია ობიექტის მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში და შეადგენს 18 თვეს.

6.სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია მოიცავს:

სახიფათო ზონების განსაზღვრას შენობიდან და ამწის მუშაობის დროს, რომელიც შეადგენს 10მ-მდე სიმაღლის შენობებისათვის 3.5მ და 4მ შესაბამისად;

-სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობების ბაქნების მოწყობა;

- ავტოსატრანსპორტო საშუალებების, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მოძრაობის ორგანიზაცია;

-ობიექტის უზრუნველყოფა ხანძარქრობისა და პირველადი დახმარების საშუალებებით. სახანძრო ფარებით და ხანძარმქრობებით. შესასვლელებში და გასასვლელებში უნდა მოეწყოს სახანძრო დაცვის გეგმა, შესასვლელებისა და გასასვლელების, წყლის წყაროების, ხანძარქრობის საშუალებების და კავშირგაბმულობის პუნქტების მდებარეობის ჩვენებით;

-გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების აბრების და წარწერების თვალსაჩინო ადგილებში მოწყობა;

-ობიექტის დაკომპლექტება მუშა კადრებით, სამშენებლო მანქანა-მექანიზმებით, მოწყობილობებით, ინსტრუმენტით და ინვენტარით;

-სამშენებლო მოედანზე მომუშავეებისათვის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნა.

7 სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობის მონტაჟისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები სრულდება ერთ ცვლაში. პროექტით გათვალისწინებულია სამუშაოთა შემდეგი რიგითობა;

ა) მოსამზადებელი პერიოდი

ბ) ძირითადი პერიოდი

7.1 მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები

ძირითადი სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების დაწყების წინ აუცილებელია შესრულდეს შიგა სამოედნო მოსამზადებელი სამუშაოების მთელი კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ სამუშაოებს სამშენებლო მოედნის ათვისებისა და სამშენებლო წარმოების რითმულად წარმართვისათვის.

მ.შ.

ა) სამშენებლო მოედნის განთავისუფლება არსებული გამოუსადეგარი კმუნიკაციებისაგან;

ბ) ტერიტორიის გასუფთავება;

გ) ობიექტის გეოდეზიური დაკვალვა;

დ) საერთო სამოედნო სასაწყობო მეურნეობისა და კონსტრუქციების ასაწყობი ბაქნების მომზადება;

ე) ინვენტარული შენობებისა და დროებითი ნაგებობების მონტაჟი;

ვ) სამშენებლო მოედნის საინჟინრო მომზადება,ტერიტორიის მოსაშანდაკების პირველადი სამუშაოების, ზედაპირული წყლების დრორბითი სადინარებით უზრუნველყოფის, არსებული კომუნიკაციების გადაწყობის, მუდმივი და დროებითი შიგა სამოედნო გზობის მოწყობის, წყალ და ენერგომომარაგების ქსელების გაყვანა.

მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების დაწყებამდე უნდა შესრულდეს სნ და წ 30.01.85 სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია თავების სათანადო მოთხოვნები რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: მშენებლობის საჭიროებისათვის არსებული სატრანსპორტო და საინჟინრო კომუნიკაციების გამოყენების პირობების გადაწყვეტას: განსაზღვრული იქნენ მშენებლობის მონაწილენი:ცალკეული სახის სამუშაოების შესასრულებლად ქვემოიჯარე ორგანიზაციების მოწვევის საკითხი ხელშეკრულების დადება:

- -სამშენებლო მოედანზე უცხო პირების და სხვადასხვა ცხოველების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ობიექტის დღე-ღამური დაცვა;
- -იტპ რიცხვიდან ბრძანებით დაინიშნოს სამონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი (მათ შორის მექანიზმებით სამუშაოთა წარმოებაზე პასუხის მგებელი);
- -მუშებზე რომლებიც უშუალოდ არიან დაკავებულები სამონტაჟო სამუშაოებზე გაიცემა დაშვება-განაწესი მაღალი საშიშროების სამუშაოებზე. ისინი აღჭურვილნი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დამცავი მუზარადებით, სარტყელებით, რესპირატორით, სათვალეებით და ა.შ.

7.2 ძირითადი პერიოდის სამუშაოები

სამონტაჟო სამუშაოები

შენობის მიწისზედა ნაწილის სამონტაჟო სამუშაოების დაწყება წარმოებს შენობის ნულოვანი ციკლის სრულად დამთავრების შემდეგ და შესრულებული სამუშაოების აქტით მიღების შემდეგ იმ ორგანიზაციის მიერ, რომელმაც უნდა განახორციელოს სამონტაჟო სამუშაოები. ლითონის მზიდი და შემომზღუდავი კონსტრუქციების მონტაჟი ხორციელდება 25ტ ტვირთამწეობის ამწით,

7.3 აქტით მისაღები სამუშაოების ჩამონათვალი

ფარული სამუშაოების დამოწმების აქტები უნდა შესრულდეს შემდეგ სამუშაოებზე;

-ლითონის მზიდი და შემომზღუდავი კონსტრუქციების მოწყობის აქტები;

-კედლებისა და ტიხრების მოწყობის აქტი;

-ელექტროსამონტაჟო და შიგა ქსელების მოწყობის აქტი;

-შიგა მილსადენების მიღების და გამოცდის აქტი;

-გათბობის სისტემის გამოცდის აქტი;

-სავენტილაციო სისტემის გამოცდის აქტი.

8.შრომის დაცვა და საწარმოო უსაფრთხოება

სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს აუცილებელია შრომის დაცვის დაცვის მოთხოვნების შესრულება რომელიც მოცემულია სათანადო სახელმძღვანელო და ისტრუქციულ დოკუმენტებში. მუშები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით. მუშებზე გაცემული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს მათ სქეს,სიმაღლეს და ზომებს,შესასრულებელი სამუშაოს ხასიათს და პირობებს,აგრეთვე უნდა უზრუნველყოს დროის გარკვეულ განმავლობაში ადამიანის ორგანიზმზე მავნე და საშიში საწარმოო ფაქტორების შემცირება ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ დასაშვებ სიდიდემდე.

გამოყენებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები,სპეცტანსაცმელი უნდა პასუხობდნენ ჰიგიენურ მოთხოვნებს და ჰქონდეთ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნა.

სამუშაოების განმახორციელებელი მუშების მუშაობისა და დასვენების რეჟიმი განსაზღვრულია ნორმატიული დოკუმენტებით საწარმოო გარემოს და სამუშაო პროცესის ფაქტორის ზემოქმედების გათვალისწინებით.

სამუშაოთა წარმოების უბანზე უნდა იყოს სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია,დამუშავებული კონკრეტული სამუშაო პირობების გათვალისწინებით.

სამუშაოთა წარმოების ადგილები უნდა უზრუნველყოფილნი იყვნენ ხანძარქობის საშუალებებით (ცეცხლმაქრები,სახანძრო ინსტრუმენტები და სხვ.) ყველა მუშას შესწავლილი უნდა ჰქონდეს მათი მოხმარება. მუშაკების ყოფნა როგორც სამშენებლო მოედანზე,ისე შენობის შიგნით დამცავი მუზარადების გარეშე აკრძალულია. აკრძალულია სამშენებლო უბანზე უცხო პირების ყოფნა და სხვა სამუშაოების შესრულება:

9. უსაფრთხოების ტექნიკა

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას საჭიროა სამშენებლო ნორმებისა და წესების III-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და ტვირთამწე მოწყობილობისა და ექსპლუატაციის წესების მკაცრი დაცვა. თანახმად აღნიშნული ნორმებისა და წესებისა,მშენებლობის ადმინისტრაცია ვალდებულია დადგენილ ვადებში გაატაროს ინსტრუქტაჟი, მუშების და ტექნიკური პერსონალის მიერ უსაფრთხოების თექნიკის საფუძვლების შესწავლისათვის მისი დოკუმენტურად აუცილებელი გაფორმებით.

ობიექტზე სამუშაოდ მუშები დაიშვებიან უსაფრთხოების ტექნიკის,საწარმოო სანიტარიისა და სამუშაო ადგილზე სპეციალური ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ.

სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა ყველა მანქანა-მექანიზმის გამართულობის შემოწმება, სამუშაო მოედნების მომზადება მათი დაყენებისათვის.

აკრძალულია ექსკავატორების, ისრიანი ამწეების და სხვა მანქანა-მექანიზმების მუშაობა ნებისმიერი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ქვეშ. მათი მუშაობა და გადაადგილება უნდა წარმოებდეს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის ხელმძღვანელობით,სპეციალური დაშვების საბუთის გაცემით და შეთანხმებით ელექტროსაექსპლოატაციო სამსახურთან.

ისრიანი ამწეების დაყენება უნდა განხორციელდეს ისე,რომ მანძილი ამწის მბრუნავ ნაწილისა და შენობას და სხვა საგნების შორის იყოს არანაკლებ 1 მეთრისა.

ყველა ღონისძიება,რომელიც ეხება სამონტაჟო მექანიზმის მუშაობას კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს შეთანხმებული მშენებლობის ყველა მონაწილესთან,უსაფრთხოების თექნიკის სამსახურთან და ტექზედამხედველობის ინსპექციასთან.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ელექტროშედუღების სამუშაოები წარმოებას,რადგან გარდა ელექტრომარცხისა არსებობს ხანძრის საშიშროება.

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის წესების უზრუნველყოფა მდგომარეობს ყველა იმ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულებაში,რომელიც დადგენილია სახანძრო ინსპექციის მიერ და სახანძრო უსაფრთხოების წესებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას.

10. სამშენებლო კონსტრუქციების ლაბორატორიული და გეოდეზიური კონტროლის ორგანიზაცია

სამშენებლო კონსტრუქციების დიაგნოსტირება, საპროექტო ღერძებისა და ნიშნულების ნატურაში გადატანა მოითხოვს ლაბორატორიული და გეოდეზიური სამსახურის მკაფიო ორგანიზაციას..

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების დროს, შენობის ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა და ობიექტზე შემოსული დამშენებლო მასალების და ნაკეთობების ხარისხის ლაბორატორიუკი კონტროლი ხორციელდება ობიექტზე შექმნილი ლაბორატორიულ-გეოდეზიური პუნქტით, რომელიც ადგილზე აღებულ ნიმუშებს და მონაცემებს ამოწმებს აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიაში.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების ხარისხი, დამოკიდებულია ტექნოლოგიური პროცესების მიმდევრობის მკაცრ დაცვაზე თანახმად საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციისა.

სამუსაოთა ხარისხის კონტროლს ახორციელებენ ლაბორატორიის მუშაკები, გეოდეზისტები, ბრიგადირები, ოსტატები, სამუშაოთა მწარმოებლები, საავტორო და ტექზედამხედველობის ორგანოები. მშენებლობაზე კონტროლს და ოპერატიულ შემოწმებას განახორციელებენ აგრეთვე სახელმწიფო ორგანოები.

11.გარემო პირობების დაცვა

-სამშენებლო მოედნის ქალაქის ფარგლებში მდებარეობის გამო, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გარემო პირობების დაცვას.

- გაირეცხოს , მიმდებარე ქუჩების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით..

-არცერთი მექანიზმი და მოწყობილობა არ უნდა დარჩეს ჩართული დროის დიდი ხნის განმავლობაში.

-ყურადღება უნდა მიექცეს კოცონების დანთებას. ისინი განპირობებული უნდა იყოს აუცილებლობით და იყვნენ მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ. ყოველ შემთხვევაში ზედამხედველ მუშას ხელთ უნდა ჰქონდეს წყლის შლანგი. სასტიკად იკრძალება ძველი ხის მასალის დაწვა.

-სამშენებლო მოედნის სიახლოვეს მდებარე ყოველი ხე უნდა იყოს აღრიცხული და დაცული. დამცავი ღობეები უნდა აიგოს ხის ტანიდან არაუახლოეს 1.3მ-ში

-სამშენებლო პროცესის მთელი დროის განმავლობაში აუცილებელია თვალყურის დევნება და ხის ტანისა და ტოტების ნებისმიერი დაზიანება უნდა დაიფაროს ბიტუმის ხსნარით.

- სამონტაჟო სამუშაოების წარმოების პროცესში უნდა გატარდეს სამშენებლო მოედნის სამშენებლო ნარჩენებით დანაგვიანების, ზედაპირულ, გრუნტის წყლებში და ნიაფადში მავნე ნივთიერებების მოხვედრის და ატმოსფეროს დანაგვიანების საწინააღმდეგო ღონისძიებები;

-სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნეს გატანილი სამშენებლო მოედნიდან. აკრძალულია რკინაბეტონის კონსტრუქციების და სხვა ელემენტების მიწაში ჩამარხვა.


ქ.თბილისში, ჩიქვანაიას ქ.№1 (ს/კ 01.11.04.013.003.) სასაწყობო შენობის

მშენებლობის განხორციელების დარჩენილი ეტაპების კალენდარული გრაფიკი

ეტაპები	სამუშაოთა რიგები და დასახელება	სამუშაოს ხანგრძლივობა (დღე)	თვეები		
			1	2	3
	II. მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები				
IX	ლოკალური და საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა ტერიტორიაზე	90			

შეადგინა

სამშენებლო გენგეგმა



ექსპლიკაცია

1. არსებული შენობა
2. საპროექტო შენობა
3. სამუშაოთა მწარმოებლის სათავსი
4. მუშების გასახდელი
5. საინსტრუმენტო
6. დახურული საწყობი
7. საკონტროლო გამშვები პუნქტი
8. სასაწყობო ბაქნები
9. სამონტაჟო ამწე

პირობითი აღნიშვნები

- არსებული ღობე ჭიშკრით
- დროებითი გზა
- ობიექტზე შესასვლელი
- ამწის სახიფათო ზონა